

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 178

ქ.ქუთაისი

29.12 2016 წ.

ერთის მხრივ ა.ა.ი.პ-ი „ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“ მისი მმართველის ნინო უჩაძის სახით, მის ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ №9 (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ტელე-რადიო კომპანია „რიონი“ მისი დირექტორის თამარ ღვინიაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), ვხემაღვანელობთ, რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ა.ი.პ-ი. ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების 2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით, სატელევიზიო მომსახურების შესყიდვა 2016 წლის 31 დეკემბერს 5-ჯერ, 2017 წლის 1-6-7-13-14 იანვარს 8-ჯერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1 შესყიდვის ობიექტია: სატელევიზიო მომსახურება CPV კოდი-92200000

3. ხელშეკრულებს საერთო ღირებულება:

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს: 354 ლარს საქართველოში დადგენილი ყველა სახის ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია:

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი, პირობები
საგარანტიო ვადები

5.1 მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 31 დეკემბერს 5-ჯერ, 2017 წლის 1-6-7-13-14 იანვარს 8-ჯერ

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა დღგ-ს ჩათვლით

5.3 საგარანტიო მომსახურება განისაზღვრება მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგარანტიო ტალონის მიხედვით. მასში მითითებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები
და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით.

6.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 30 საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოითხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების დადებიდან ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 31 დეკემბერს 5-ჯერ, 2017 წლის 1-6-7-13-14 იანვარს 8-ჯერ

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას:

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერლობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეებს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება რომელიც მას მიაღება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდაბულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება საჯარო საწესრიგო, ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 % ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან 2017 წლის 28 თებერვლის ჩათვლით

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისათვის. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით წყალდიდობა,

ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალოდ შემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 ხელშეკრულებით ვალდებულებების მოთიანე ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3 ხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი დავები ან ახრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვიტოს იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუხედავად შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამის

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირება შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა.ა.ი.პ-ის სპორტულ დაწესებულებათა გერთიანების შესყიდვების სპეციალისტი ლაშა ფურცხვანიძე.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაბისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიხეხების მოთხოვნით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმწოდებელი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მის შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა.ა.ი.პ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ

დაწესებულებათა გაერთიანება

მის.ქ.ქუთაისი წმინდა ნინოს ქ №9

ს/კ

ბანკის კოდი TRESS.GE

სახელმწიფო ხაზინა

ორგანიზაციის კოდი 050102

ტელ: (0431)25 59 99

ორგანიზაციის კოდი 050102

გაერთიანების მმართველი

ნინო უჩაძე

მიმწოდებელი

შ.პ.ს. ტელერადიო კომპანია „რიონი“

მის: ფალიაშვილის ქ №2

ს/კ 212678093

ს/ს თი.ბი.სი ბანკი

ა/ა GE 71 TB 0362 8360 801 00003

გენ. დირექტორი თამარ ღვინიაძე

